საქართველოს დეველოპერული ბიზნესის გამოწვევები

კრიზისმენეჯმენტის როლი

ანი სურამელი

სამაგისტრო ნაშრომი წარმოდგენილია

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის

ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის მენეჯმენტში

აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი: სოფიო ლებანიძე, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2021

განაცხადი

„როგორც სამაგისტრო ნაშრომის „საქართველოს დეველოპერული ბიზნესის გამოწვევები კრიზისმენეჯმენტის როლი“ ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.“

ანი სურამელი

12/06/2021

აბსტრაქტი

ნაშრომი შეეხება საქართველოს სამშენებლო დეველოპერული ბიზნესის გამოწვევებს და სექტორის სტაბილური განვითარებისთის კრიზისმენეჯმენტის როლს. კვლევის მიზანია სამშენებლო ინდუსტრიის განვითარებისას განვლილი ეტაპებისა და დაბრკოლებების გაანალიზება, სექტორში არსებული პრობლემების იდენტიფიცირება და მათი გადაჭრის გზების მიგნება. ნაშრომის ფარგლებში გაანალიზებულია სახელმწიფოს მხრიდან დარგის სტიმულირების მნიშვნელობა ინდუსტრიის განვითარებისთვის.

კვლევის მიზნიდან გამომდინარე გამოყენებულ იქნა რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის მეთოდები, ასევე ემპერიული კვლევის საფუძველზე განხილულ იქნა ლიტერატურა და სხვა ქვეყნების გამოცდილება.

მიზნებიდან გამომდინარე განხორციელდა რაოდენობრივი კვლევა მოქალაქეებთან (დაინტერესებულ პირებთან), ხოლო სამშენებლო სექტორის წარმომადგენლებთან, ექსპერტებთან, კომერციული ბანკების წარმომადგელებთან ჩატარდა თვისებრივი კვლევა.

ნაშრომში განხილულია ბოლო ორი ათწლეულის პერიოდში მომხდარი კრიზისების ნეგატიური გავლენა საქართველოს სამშენებლო დეველოპერული სექტორის განვითარების პროცესზე. კვლევაში შეფასებულია 2007-2008 წლის მსოფლიო ფინანსური კრიზისი, რუსეთ-საქართველოს ომი და COVID-19-ის ვირუსის გავრცელებით გამოწვეული მსოფლიო პანდემიის შედეგად შექმნილი გლობალური კრიზისი.

ნაშრომის ფარგლებში ჩატარებულმა კვლევებმა გვიჩვენა, რომ საქართველოს სამშენებლო დეველოპერული სექტორი არაერთი გამოწვევის წინშეა, კრიზისმენეჯმენტის დანერგვის საჭიროება და მისი პრაქტიკაში გამოყენება მნიშვნელოვანი და ღირებულია. ქვეყანაში არსებული არაპროგნოზრებადი გარემოს ფონზე კრიზისების მართვის სტრატეგიის შემუშავება ბიზნეს სუბიექტებისთვის დინამიურად განვითარების საფუძველია.

კვლევის შედეგად ჩანს, რომ ქვეყნის მაშტაბით არსებულ კომპანიების დიდ ნაწილს არ აქვს შემუშავებული კრიზისების მართვის სტრატეგია, რომელსაც საჭიროების შემთხვევაში განახორციელებს. კრიზისების მართვის სამსახურის დანერგვა ორგანიზაციებში, განაპირობებს მზადყოფნას გაუძლოს მოულედნელ რყევებს. ეფექტური კრიზის მენეჯმენტით გადალახოს მისგან დამოუკიდებლად შექმნილი პრობლემები, რომელზე ზემოქმედების ძალა მათ არ შესწევთ, თუმცა უნდა შეძლონ ახალ გარემოსთან ადაპტირება და თანაცხოვრება. ამისთვის საჭიროა სამშენებლო სექტორში განვითარებული წინარე კრიზისების კვლევა, ანალიზი და შეფასება, რომ მოხდეს არსებული გამოცდილების გამოყენება და ნაკლები დანაკარგებით კრიზისისგან გამოწვეული დაბრკოლებების გადალახვა.

საძიებო სიტყვები:

კრიზისი, მენეჯმენტი, დეველოპერული სექტორი, სამშენებლო ინდუსტრია, პანდემია, მსოფლიო ფინანსური კრიზისი, ინფლაცია

Abstract

The paper will address the challenges of the Georgian construction and development business and the role of crisis management in the sustainable development of the sector. The aim of the research is to analyze the stages and obstacles in the development of the construction industry, to identify the problems in the sector and to find ways to solve them. The paper analyzes the importance of state stimulation of the sector for the development of the industry.

Quantitative and qualitative research methods were used for the purpose of the research, as well as economic literature based on empirical research.

For the high reliability of the survey results, a qualitative survey was conducted with the citizens, representatives of the quantitative and construction sectors, experts, representatives of commercial banks. Based on the analysis of the results, it appeared that the issue is topical and important.

The paper discusses the negative impact of the crises of the last two decades on the development of Georgia's construction and development sector. The study assesses the global financial crisis of 2007-2008, the Russian-Georgian war and the global crisis caused by the global pandemic caused by the spread of the COVID-19 virus.

The research conducted within the framework of the paper showed that the construction and development sector of Georgia faces many challenges, the need to introduce crisis management and its application in practice is important and valuable. Against the background of the unpredictable environment in the country, the development of a crisis management strategy is the basis for dynamic development for business entities.

The survey shows that a large proportion of companies across the country have not developed a crisis management strategy that they will implement if necessary. Introduction of crisis management service in organizations, conditioned readiness to withstand sudden fluctuations. With effective crisis management to overcome the problems created independently of it, which

you will not be able to influence, however, should be able to adapt and coexist with the new environment. This requires research, analysis and evaluation of previous crises in the construction sector in order to use existing experience and overcome the obstacles caused by the crisis with less losses.

Keywords:

Crisis, Management, Development Sector, Construction Industry, Pandemic, Global Financial Crisis, Inflation

მადლობა

განსაკუთრებული მადლობა სამაგისტრო ნაშრომის სამეცნიერო ხელმძღვანელს ქალბატონ სოფიო ლებანიძეს. ნაშრომზე მუშაობის პროცესში აქტიური ჩართულობითა და რეკომენდაციების სახით გაწეული დახმარებისთვის.

მადლობა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის ლექტორებს. მათ მიერ გაზიერებულმა ცოდნამ და გამოცდილებამ სტუდენტების არამხოლოდ პროფესიული, არამედ პიროვული ზრდაც განაპირობა.